ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3204977

ნომერი: AR1494855

თარიღი : 11.04.2017

გაცემის თარიღი : 13.04.2017

გაცნობის თარიღი : 21.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბიძინა კვერნაძე , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კვინიკაძე პ/ნ 18001006714
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 8, ბინა 50

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 აპრილს AR1494855 განცხადებით მომართა მოქალაქე ლევან კვინიკაძემ და წარმოდგენილი ნაკვეთის მესაკუთრეს თანხმობის საფუძველზე მოითხოვა 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებაში ცვლილება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების კოორდინატთა სისტემაში კრექტირების გამო საკადასტრო კოდის და ფართობის უცვლელად.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილება მომზადებულია N01.10.13.033.100 საკადასტრო

კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი 7604 მ^2) არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენება) და ახალი შენობა- ნაგებობა (საოფისე, სასტუმრო, საზკვების ობიექტი) ფუნქციით, საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)–ს პარამეტრებით და პირობებით, შეთანხმდა პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვაც.

2016 წლის 04 მაისს №2577733 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.08.2014 წ. №1413519 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენება) და ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდა მხოლოდ ახალი შენობა-ნაგებობა (საოფისე, სასტუმრო, საკვები ობიექტი);

ამ ეტაპზე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების კოორდინატთა სისტემაში კორექტირების გამო განმცხადებელი ითხოვს აღნიშნულ აქტში ცვლილებას ახალი საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად, რაც სასახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზღისით მიზანშეწონილად მიაჩნია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებაში და საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს N 01.10.13.033.100 (რეგისტრაციის ნომერი N882017240297 (07/04/2017)), მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 7604.00 მ^2
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებასთან და 2016 წლის 04 მაისის №2577733 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.